შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის

2022 წლის საქმიანობის ანგარიში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი

სარჩევი

1. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა 5
1.1. სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელება..... 6
1.2. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია 8
1.2.1. ხარისხიან ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა 8
1.2.2. სოფლის მეურნეობა 10
1.2.3. დიალოგი და ნდობის აღდგენა 10
1.4. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება 14
1.6. ინკლუზიური სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფა 19
1.6.1. თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან..... 19
1.7. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეგირების მექანიზმები..... 24
1.8. თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან 29

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

შესავალი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, მისთვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების, შემუშავებისა და განვითარების პროცესების, ასევე, შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების კოორდინაციაზე ორი ძირითადი მიმართულებით: 1) საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმდინარე ოკუპაციის შედეგად ხელოვნურად გაყოფილი საზოგადოების მიმართ შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება; 2) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერა, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, კულტურათაშორისი ურთიერთობების განმტკიცება.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციასა და შემდგომი ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს ხელისუფლება უპირისპირებს თანმიმდევრულ და პრინციპულ პოლიტიკას, ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშესაწყობად. საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით საქართველოს რეგიონების დეოკუპაციის მიღწევის ძალისხმევისა და არაღიარების პოლიტიკის შემდგომი გამტკიცების კვალდაკვალ, **შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა** მიზნად ისახავს ომით ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენას და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული დიალოგისა და თანამშრომლობის გზით შერიგებასა და ჩართულობას, ასევე, კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებამდე, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნასა და უკეთესი მომავლის პერსპექტივის უზრუნველყოფას, მათ შორის ქვეყნის დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეული სიკეთეებისა და სერვისების გაზიარების გზით. აღნიშნული პოლიტიკა არის ცალსახად

მშვიდობიანი, დეპოლიტიზებული და ადამიანზე ორიენტირებული და მისი ამოცანაა, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობდეს იმავე შესაძლებლობებით, პროგრამებითა და სერვისებით, რაც ხელმისაწვდომია დანარჩენ საქართველოში მცხოვრები პირებისთვის.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს -თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების განმტკიცება და ერთიანი, სტაბილური, სამართლებრივი, მრავალკულტურული და საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, თანაბარი შესაძლებლობების შექმნა, რათა შეძლოს წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე კულტურულად მრავალეროვანი საზოგადოების გაძლიერებისთვის კულტურათაშორისი დიალოგის შემდგომი ხელშეწყობა.

ორივე მიმართულებით დასახული მიზნები კომპლექსური და მრავალგანზომილებიანია, რაც დინამიური და მრავალსექტორული პოლიტიკის კონსოლიდირებულ და თანმიმდევრულ წარმართვას და ინკლუზიურ მიდგომას საჭიროებს. შესაბამისად, შერიგებისა და ჩართულობის, ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად:

- გრძელდება ინტენსიური თანამშრომლობა ორივე პოლიტიკის განმახორციელებელ დარგობრივ სახელმწიფო უწყებებსა და სტრუქტურულ ერთეულებთან, ინდივიდუალურად თუ სპეციალურად შექმნილ სხვადასხვა ფორმატში;
- ერთიანი სამთავრობო ძალისხმევის მაკოორდინირებელი ფუნქციის სათანადოდ აღსრულების მიზნით, აპარატი ხელმძღვანელობს ოთხ უწყებათაშორის კომისიას: თავმჯდომარის რანგში: 1. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიას; 2. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილ სამთავრობო კომისიას; 3. შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების კომისიას; 4. თანათავმჯდომარის რანგში კი - გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიას;
- განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტთან, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი

საპარლამენტო კომისიის ფორმატში, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის და სხვა დარგობრივი კომიტეტების ფარგლებში;

- მიმდინარეობს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე პოლიტიკის მიმართულებით 8 სამიზნე რეგიონის[1] სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან; მათ შორის, აპარატი ჩართულია და რეგულარულად მონაწილეობს ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობაში;
- უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობასთან უშუალო კავშირი, როგორც გამყოფი ხაზის გასწვრივ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ სოფლებსა და დევნილთა დასახლებებში, ასევე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში რეგულარული ვიზიტებისა და ადგილზე, მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრების გამართვის გზით;
- აპარატის საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის, სახელმწიფოს ძალისხმევასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფას, რისთვისაც გრძელდება სხვადასხვა პლატფორმების ფარგლებში ჩამოყალიბებული თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან;
- განსაკუთრებული მნიშვნელობა ასევე ენიჭება სტრატეგიულ პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან რეგულარულ თანამშრომლობას; აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ქვეყნის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ჩართულია სხვადასხვა ორგანიზაციის - გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოს ფარგლებში, ასევე ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა პარტნიორ სახელმწიფოებთან არსებული ყველა იმ თანამშრომლობის ფორმატისა თუ ინსტრუმენტის ფარგლებში, რომელიც უკავშირდება პოლიტიკის პრიორიტეტებს, დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ასევე, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხებს.

სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე, დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად, 2022 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციაში შემავალი ორივე მიმართულებით ინტენსიური მუშაობა წარიმართა;

[1] შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი

შემუშავდა, ამოქმედდა და განხორციელდა ადამიანებზე ორიენტირებული რიგი ინიციატივები და პროგრამები, ახალი მიდგომები და უნიკალური ინსტრუმენტები.

1. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა

2022 წელი განსაკუთრებით დატვირთული იყო ახალი გამოწვევებით, რაც რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ფართომასშტაბიან სამხედრო აგრესიასა და რეგიონში უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვნად შეცვლილ გარემოს უკავშირდება.

სამწუხაროდ, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლისა და სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ხელყოფის რუსეთის უკანონო პოლიტიკის შედეგად, საქართველოში კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას ყოველდღიურად უწევს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმდინარე ოკუპაციის უმძიმეს შედეგებთან გამკლავება, როგორც უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული გამოწვევების, ისე ადამიანის უფლებების რეალიზების კუთხით.

მიმდინარე ოკუპაციის შედეგად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უმძიმეს პოლიტიკურ და უსაფრთხოების გამოწვევებთან ერთად, ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გააქტიურდა რიგი უკანონო გადაწყვეტილებების მიღებისა და ე.წ. დოკუმენტების გაფორმების პროცესი, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს ორივე რეგიონის რუსეთის სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გაღრმავებას.

აღნიშნული უკანონო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია დანარჩენი საქართველოსგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ხელოვნური იზოლაციის შემდგომი გაძლიერება, რაც, ამასთან, პირდაპირ მიმართულია საოკუპაციო ხაზით გაყოფილ ადამიანებს შორის ურთიერთობების, ნდობის აღდგენისა და შერიგების წინააღმდეგ. სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი უკანასკნელ პერიოდში გადადგმული მიზანმიმართული ნაბიჯები თუ გაკეთებული განცხადებები კონფლიქტის შედეგად გაყოფილ მოსახლეობას შორის აქტიურად მიმდინარე ნდობის აღდგენის პროცესის შესაფერხებლად, რაც, მათ შორის, ხორციელდება აფხაზეთში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის საქმიანობაზე კონტროლის გამკაცრებისა და შეზღუდვების დაწესების

გზით. საერთაშორისო ორგანიზაციების ოპერირების კუთხით, კვლავ მიუწვდომელი რჩება ცხინვალის რეგიონი და მნიშვნელოვნად იზღუდება სამშვიდობო ინიციატივებში ადგილობრივი მაცხოვრებლების ჩართვის შესაძლებლობები.

ზემოხსენებულ შეზღუდვებთან ერთად, შერიგების პროცესის წინააღმდეგ არის მიმართული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში გააქტიურებული დეზინფორმაციული კამპანიები და ანტიქართული პროპაგანდა, რაც ემსახურება საქართველოს მტრის ხატად წარმოჩენას, შიშისა და უნდობლობის გაღვივებას და კონფლიქტის ნიადაგზე შექმნილი ნეგატიური სტერეოტიპების შენარჩუნებას.

რეგიონში შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობის და მიმდინარე უკანონო ოკუპაციით წარმოქმნილი გამოწვევებისა და საფრთხეების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა თანმიმდევრული, პრინციპული და შედეგზე ორიენტირებული სამშვიდობო პოლიტიკის ერთგული რჩება, რაც არაერთი ოფიციალური დოკუმენტითა და მაღალი დონის განცხადებებით არის დადასტურებული. დეოკუპაციის განზომილების პარალელურად, გრძელდება ჰუმანიტარულ და დეპოლიტიზებულ პრინციპებზე დაფუძნებული შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ეფექტიანი გატარება ომით ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობის, ასევე კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, ასევე ჩართულობის სხვადასხვა მიმართულებების ეფექტიანი განხორციელების გზით.

1.1. სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელება

2022 წელს გაგრძელდა სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" აქტიური განხორციელება, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავდა: 1) ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ საზოგადოებას შორის; 2) ხარისხიანი განათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრები ახალგაზრდებისთვის; 3) ადგილობრივი მოსახლეობისთვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისზე წვდომის გაუმჯობესება.

ვაჭრობისა და ეკონომიკური საქმიანობის წახალისების კუთხით, აღსანიშნავია 2020 წლის 21 სექტემბერს სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში ამოქმედებული უნიკალური ფინანსური მექანიზმის - „მშვიდობის ფონდის უკეთესი მომავლისთვის" (შემდგომში - მშვიდობის ფონდი) საქმიანობა, რომელიც ემსახურება აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასთან თანამშრომლობას პარტნიორული ბიზნეს-პროექტების დაფინანსების გზით და ამგვარად, ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის დიალოგისა და საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას, რაც აგრეთვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული, სოციალური და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მდგომარეობის კონტექსტში.

2022 წლის 24 მაისის-24 ივნისის პერიოდში მშვიდობის ფონდმა რიგით მესამე საგრანტო კონკურსი გამოაცხადა, რომლის ფარგლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან 92 ბიზნეს-პროექტი დარეგისტრირდა, რაც განაცხადების სტაბილურ მატებას ადასტურებს და შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან მზარდ ინტერესზე მეტყველებს. 2022 წელს შემოსული ბიზნეს-განაცხადებიდან დაფინანსება 26-მა პროექტმა მიიღო. ჯამში, ამოქმედების დღიდან ფონდის მიერ ჩატარებული სამი საგრანტო კონკურსის შედეგად 75 ბიზნეს-ინიციატივა დაფინანსდა.

იმის გათვალისწინებით, რომ მშვიდობის ფონდი გრანტებს გასცემს საერთაშორისო კონტრიბუციების საფუძველზე, 2022 წელს გრძელდებოდა აქტიური კონსულტაციები დონორ-ორგანიზაციებსა და პარტნიორ სახელმწიფოებთან მშვიდობის ფონდში ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით. შედეგად, ფინანსურ მხარდაჭერაში აქტიურად არის ჩართული გერმანია, გაერთიანებული სამეფო და შვეიცარია, ასევე აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, რომელიც განაგრძობს ფონდისთვის ტექნიკური და ექსპერტული დახმარების გაწევას.

ფონდის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://www.peacefundbf.org/en) და Facebook გვერდზე (https://www.facebook.com/peacefundbf/).

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის, ასევე ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული დაბრკოლებების საპასუხოდ, პრიორიტეტად რჩებოდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის მაღალი სტანდარტის განათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფა. შეთავაზებული საშეღავათო პროგრამების გამოყენებით, 2022 წელს ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, კვლავ უგამოცდოდ ჩაირიცხა 230 სტუდენტი, ხოლო ეროვნული გამოცდების საფუძველზე - დამატებით 4 სტუდენტი.

ამასთან, გრძელდებოდა ე.წ. „1+4" პროგრამის განხორციელება, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ასევე აფხაზ და ოს სტუდენტებს, გამარტივებული წესით ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების გზით. გასულ წელს, აღნიშნული პროგრამაზე ოკუპირებული რეგიონებიდან 7 აბიტურიენტი ჩაირიცხა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდების მიერ საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა საერთაშორისო უნივერსიტეტებში ხელმისაწვდომი პროგრამებისა და სტიპენდიების შესახებ ინფორმაციის განახლება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სამშვიდობო ინიციატივის შესაბამისად, 2022 წელს გაგრძელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისებზე, მათ შორის საქართველოს მოქალაქის პასპორტზე, გამარტივებული წესით წვდომის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოქალაქის პასპორტის ამღებთა რიცხვი.

1.2. ჩართულობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

1.2.1. ხარისხიან ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა

ადგილზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობის, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვებისა და ხელოვნური

იზოლაციის პირობებში, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად რჩებოდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე წვდომის, მათ შორის კოვიდ-19 პანდემიასთან ბრძოლის პროცესში დახმარების უზრუნველყოფა.

შესაბამისად, 2022 წელს გრძელდებოდა აფხაზეთის რეგიონისთვის სამედიცინო აღჭურვილობის, მედიკამენტებისა და ჰიგიენური საშუალებების მიწოდება, ასევე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან კოვიდ-ინფიცირებული პაციენტების გადმოყვანა და მკურნალობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამასთან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის გამარტივებული წესით ხელმისაწვდომი იყო კოვიდ საწინააღმდეგო იმუნიზაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ვაქცინაციის ჩატარებას, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე.

პანდემიასთან დაკავშირებულ დახმარებასთან ერთად, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა ინტენსიურ მუშაობას „ჯანდაცვის სახელმწიფო რეფერალური პროგრამის" შეუფერხებელი და ეფექტიანი ფუნქციონირების და მის ფარგლებში სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის. ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც კვეთდნენ საოკუპაციო ხაზს, შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ სრულფასოვანი, ხარისხიანი, საჭიროებაზე მორგებული უფასო სამედიცინო დახმარება და ემკურნალათ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში. 2022 წელს, რეფერალური პროგრამის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შუამდგომლობა გაეწია ოკუპირებული რეგიონების 1,421 მოსახლეს (1,086 აფხაზეთის რეგიონიდან და 335 ცხინვალის რეგიონიდან).

პარალელურად, საქართველოს მთავრობა ძალისხმევას მიმართავდა ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის და დახმარებას უწევდა ადგილობრივ სამედიცინო პუნქტებს. ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, საქართველოს მთავრობა განაგრძობდა აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო მედიკამენტებისა და ვაქცინების

რეგულარულ მიწოდებას. 2022 წელს აფხაზეთის რეგიონს გადაეცა სამედიცინო აღჭურვილობა და სწრაფი ტესტები, ასევე იმუნიზაციის ვაქცინები, ანტირაბიული ვაქცინები, დიაბეტის წამლები, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები და აივ/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტები, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 1,5 მილიონ ლარს მიაღწია.

ჯამში, 2022 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ჯანდაცვის კომპონენტზე დახარჯულმა თანხამ 7 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

1.2.2. სოფლის მეურნეობა

ადგილზე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებისა და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით, საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად გადაეცემა მცენარეთა და ცხოველთა დაცვის სხვადასხვა საშუალებები. 2022 წელს, აფხაზეთის რეგიონს მიეწოდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებები და პესტიციდები, რომლის ღირებულებამ 600,000 ლარზე მეტი შეადგინა.

1.2.3. დიალოგი და ნდობის აღდგენა

შერიგებისა და ჩართულობის პროცესში უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ენიჭება ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის დიალოგის, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობისა და ხალხთაშორისი კომუნიკაციის ხელშეწყობას. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ საოკუპაციო რეჟიმის მიერ ხელოვნურად შექმნილი არაერთი დაბრკოლების მიუხედავად, იზრდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც გამოხატავს ინტერესს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში გახსნილი შესაძლებლობების მიმართ და სამშვიდობო ინიციატივებში მონაწილეობის სურვილს, რაც უმთავრეს შედეგს წარმოადგენს ამ პოლიტიკის საბოლოო მიზნების მისაღწევად.

2022 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა აქტიურად უჭერდა მხარს და ხელს უწყობდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების ჩართულობას და მათ მიერ ჰუმანიტარული დახმარებისა და ნდობის აღდგენისკენ მიმართული პროექტების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ყველა საერთაშორისო

პარტნიორის მიმართ, როგორც მრავალმხრივ ფორმატში, ისე ორმხრივი შეხვედრების დროს, მთავარ გზავნილს კვლავ წარმოადგენდა ნდობის აღდგენის კუთხით ძალისხმევის გაორმაგება და განხორციელებულ პროექტებში ქართულ-აფხაზური/ქართულ-ოსური შეხვედრების კომპონენტის გაზრდა, რაც ომით გაყოფილი ადამიანების დაახლოების, მიზანმიმართულად შენარჩუნებული გაუცხოებისა და ოკუპირებული რეგიონების ხელოვნური იზოლაციის დაძლევის საფუძველია.

ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატი იყენებდა ყველა შესაძლებლობას საზოგადოების აფხაზ და ოს წარმომადგენლებთან კომუნიკაციის განხორციელებისთვის, მათ შორის არაფორმალური არხების გამოყენებით და აქტიურად მუშაობდა დიალოგისა და ნდობის აღდგენის ახალი შესაძლებლობების შექმნისათვის.

ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის კომუნიკაციის მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მოქმედი საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც ინარჩუნებდა არაფორმალურ კომუნიკაციას თბილისსა და სოხუმს შორის, აფხაზეთის რეგიონს რეგულარულად აწვდიდა სხვადასხვა სახის სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო საშუალებებს, ასევე დახმარებას უწევდა საერთაშორისო ორგანიზაციებს ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებაში.

2022 წელს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართულებით თანხმობა გაიცა საერთაშორისო და არასამთვრობო ორგანიზაციების 58 ახალ პროექტზე, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარებას, ისე ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენას.

1.3. შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ხვედრის გარკვევა

საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა საქართველოში 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად (2300-ზე მეტი) უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენა, გაუჩინარებულ

პირთა მოძიებისა და მათთვის სათანადო პატივის მიგების, მათი ოჯახების თანადგომის, ასევე ომით ხელოვნურად გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) ეგიდით, ფუნქციონირებას განაგრძობს ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმი, სადაც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატი თავმჯდომარეობს 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების მიზნით 2019 წელს შექმნილ უწყებათაშორისი კომისიას.

2022 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ბედისა და ადგილსამყოფელის დადგენასთან დაკავშირებული საქმიანობა; საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსვენებულ იქნა 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული 11 პირის იდენტიფიცირებული ნეშტი (8 სამხედრო, 3 მშვიდობიანი მოქალაქე). სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელდა მათი ოჯახის წევრების ინფორმირება და მათთან შეთანხმებით ნეშტების გადაცემის, სამოქალაქო პანაშვიდის და სამხედრო პატივით დაკრძალვის ცერემონიალის დაგეგმვა, დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის კოორდინირება. ოჯახების სურვილის გათვალისწინებით და შესაბამის მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით იდენტიფიცირებული პირები სხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის, საგვარეულო სასაფლაოებზე დაიკრძალნენ;

შესწავლილ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მათი ოჯახების თანადგომის სახელმწიფო პროგრამის სამომავლო მოწყობასთან დაკავშირებით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობისთვის წარმოდგენილი რეკომენდაციები და ხედვები რომელიც, დიდწილად გულისხმობს, პროცესში ICRC-ის ჩართულობის მნიშვნელოვნად, ეტაპობრივ შემცირებას და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების როლის გაზრდას; მომზადდა ქართული მხარის ერთიანი საპასუხო გზავნილები, შეთავაზებულ იქნა ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული გამოსავალი და ახალი წინადადებები;

წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის ხელმძღვანელობით, „შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისიის" ორი სხდომა გაიმართა; კომისიის მონაწილეებმა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის გარკვევის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა, აქტუალური საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის რეკომენდაციების მხედველობაში მიღებით და ქართული მხარის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უწყებათაშორისმა კომისიამ საქართველოში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების პროგრამის ტრანსფორმაციის პროცესთან დაკავშირებით, თემატური სამუშაო ჯგუფების ფარგლებში, ICRC-ისთან დისკუსია-კონსულტაციების დაწყებაზე გადაწყვეტილება მიიღო; კომისიამ ასევე დაატკიცა სამუშაო ჯგუფებში ქართული მხარის შემადგენლობა. აღნიშნული დისკუსია-კონსულტაციების პროცესი, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით და ორგანიზებით, 2022 წლის 31 მაისიდან სამი თემატური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში წარიმართა და წლის განმავლობაში 12 შეხვედრა ჩატარდა;

საანგარიშო პერიოდში აქტიურად გაგრძელდა სამარხების მდებარეობისა და გაუჩინარების გარემოებებთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის შეგროვება, შეთანხმდა და განახლდა პოტენციური სამარხების სია. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან თანამშრომლობით, ასევე გადამოწმდა და განახლებულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახების საკონტაქტო მონაცემები;

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ხვედრის დადგენისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიოლოგიური ნიმუშების გამოკვლევას. 2022 წელს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსებით გენეტიკური საექსპერტო მომსახურების გაწევა, კერძოდ 1992-1993 წლების აფხაზეთის შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების 99 ბიოლოგიური ნიმუშის გენეტიკური გამოკვლევა-პროფილირება განხორციელდა;

2022 წლის 18 აპრილს, გაიმართა სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა, საქართველოში ვიზიტით მყოფ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის რეგიონალურ დირექტორთან ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრა გამართა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა

ოჯახების თანადგომის ქსელში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე იმართებოდა რეგულარული შეხვედრები უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან, პოტენციურ მოწმეებთან, პროცესში მონაწილე უწყებებთან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებთან, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის დონეზე კავკასიაში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა საკითხებში ICRC-ის სპეციალურ წარმომადგენელთან;

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით, საქართველოს 5 ქალაქში, სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მონაწილეობით გაიმართა არაერთი ჯგუფური საინფორმაციო შეხვედრა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან, თბილისში, გორში, ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში. აღნიშნული საინფორმაციო სესიები გრძელდება და მისი მიზანია უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახების ინფორმირება მოძიების პროცესის ეტაპებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, ასევე პროგრამის სამომავლო ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ოჯახების მოსაზრებების გაცნობა, შემდგომი გათვალისწინება.

1.4. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირება

საოკუპაციო ძალის უკანონო ქმედებები, უპირველეს ყოვლისა გამოყოფი ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის პროცესი, სავალალოდ აისახება არამხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაზე, არამედ საოკუპაციო ხაზების მიმდებარე სოფლების ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მთავრობისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვა და მათ საჭიროებებზე რეაგირება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 2013 წელს შექმნილი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია, რომელსაც თანათავმჯდომარეობს სახელმწიფო მინისტრი.

2022 სამთავრობო კომისიის ფარგლებში გრძელდებოდა მუშაობა ინფრასტრუქტურული, სასოფლო-სამეურნეო, საგანმანათლებლო და სხვა სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების განსახორციელებლად, კერძოდ:

- 2022 წლის ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველსაყოფად, თითოეული ოჯახისათვის გამოიყო დახმარება 200 ლარის ოდენობით. ჯამში დაფინანსდა 14 084 ოჯახი;
- სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2163 სტუდენტს დაუფინანსდა 2021-2022 სასწავლო წლის უმაღლესი განათლების საფასური; ამასთან, სტუდენტებისთვის დაინერგა ახალი ელექტრონული პორტალი, რომელიც დაფინანსების პროგრამაში მათი ჩართვის პროცესის გამარტივებას ისახავს მიზნად.
- განხორციელდა და მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის გზების, ბაღებისა და სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ხიდების, სანიაღვრე არხების, კანალიზაციის, გარე განათებების მოწყობა, ამბულატორიების განვითარება და აღჭურვა;
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიმართულებით, მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მოიხნა და დამუშავდა მიწის ნაკვეთები, მოწესრიგდა სარწყავი სისტემები, დაითესა სხვადასხვა კულტურები; განხორციელდა აგროდაზღვევის პროგრამა; ასევე, გატარდა ცალკეული ვეტერინარული ღონისძიებები (ვაქცინაცია). აღსანიშნავია, რომ გამყოფი ხაზის სოფლებზე სასოფლო-სამეურნეო პროგრამები ვრცელდება შეღავათიანი პირობებით;
- ჯამში 81 სოფლეს მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, რაც მოსახლეობას დამატებით შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს;
- გაგრძელდა უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცესი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და უშუალო ჩართულობით, ინტენსიური მუშაობა წარიმართა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ზარდიაანთკარში დაზიანებული სახლების რეაბილიტაციის მიმართულებით და განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ,

- 28 დაზიანებული სახლის (რომელთა მესაკუთრეებსაც არ მიუღიათ კომპენსაცია) მესაკუთრეებთან წარიმართა მოლაპარაკებები და გაფორმდა წერილობითი შეთანხმება, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით მათი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის შემთხვევაში, ისინი საცხოვრებლად დაბრუნდებიან სოფელ ზარდიაანთკარში;

- მომზადდა დაზიანებული სახლების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ექსპერტული დასკვნები და სახლების რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილ იქნა 1.8 მილიონი ლარი სარეაბილიტაციო პროცესის დასაწყებად;
- სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად, გამოცხადდა ტენდერი რომელიც დასრულდა 2023 წლის იანვრის თვეში (ამჟამად ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე ახორციელებს დაზიანებული სახლების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებს).

გაგრძელდა სახელმწიფო მინისტრის რეგულარული ვიზიტები გამყოფ ხაზთან მდებარე კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებში და მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაცია არსებული საჭიროებების გამოვლენისა და მათზე დროული რეაგირების მიზნით, კერძოდ,

- 17-18 თებერვალს შედგა სახელმწიფო მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი სამუშაო ვიზიტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, რაც შერიგებისა და ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიის გადახედვის ფარგლებში, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების - კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ხარისხიან ჯანდაცვაზე წვდომის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების კუთხით, ადგილზე არსებული მდგომარეობის გაცნობას და სამომავლო ხედვებზე ერთობლივ მსჯელობას ისახავდა მიზნად. ვიზიტის ფარგლებში, მთავრობის წევრები ეწვივნენ სოფ. რუხში მოქმედ მრავალფუნქციურ კლინიკას, შეხვდნენ სოფ. რუხისა და ტყაიას მოსახლეობას, ასევე მივიდნენ ენგურის ხიდზე საოკუპაციო ხაზთან, სადაც შეხვდნენ ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსულ მოსახლეობას და გაეცნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლების მიერ, ადგილზე, მათთვის საჭირო სერვისების მიწოდების პროცესს.
- 19 მაისს, სახელმწიფო მინისტრი, 2016 წელს საოკუპაციო რეჟიმის მიერ სასტიკად მოკლული გიგა ოთხოზორიას საფლავზე იმყოფებოდა, ოჯახის წევრებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები ასევე გაიმართა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის ქალებსა და ახალგაზრდებთან.
- 1 სექტემბერს სახელმწიფო მინისტრი გორის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან, სოფელ ნიქოზში იმყოფებოდა, სადაც იგი ანიმაციური

ფილმების მეათე საერთაშორისო ფესტივალის „ნიქოზის“ გახსნას დაესწრო. თეა ახვლედიანმა, როგორც ფესტივალის ერთ-ერთი პარტნიორი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელმა, მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ხაზი გაუსვა, ომით დაშორებული საზოგადოების შერიგებისა და ჩართულობის პროცესში, სამშვიდობო ინიციატივების განხორციელების, მათ შორის, ხელოვნებისა და კულტურული ღონისძიებების მნიშვნელობას.

- 3 სექტემბერს სახელმწიფო მინისტრი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილესთან, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ზარდიაანთკარში იმყოფებოდა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრის მთავარ მიზანს დაზიანებული სახლების აღდგენის მიზნით, სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული და სამომავლო, თანმიმდევრული ქმედებების გაცნობა წარმოადგენდა; ამასთან, განხილულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე მდგარი საჭიროებები და აქტუალური საკითხები.
- 8 სექტემბერს სახელმწიფო მინისტრი, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, ვიზიტით ეწვია ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩორჩანასა და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ავლევს, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად, შეხვედრა გამართა სოფ. კნოლევისა და ცერონისის მოსახლეობასთან.
- 14 სექტემბერს, ქ. გორში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრი სოფ. კოშკის, ზარდიაანთკარის, ერგნეთის, ჩორჩანას, მერეთის, ქვემო ჭალას, კარკუშაანის, გრემისხევის, ასევე შავშვებისა და მეტეხის დევნილთა დასახლების მოსახლეობას შეხვდა.

1.5. შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვა

2022 წელს გაგრძელდა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის პროცესი, რომელიც 2021 წლის აპრილში, „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილი სამთავრობო კომისიის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დაიწყო და მიზნად ისახავს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და თანმდევი სამოქმედო გეგმის განახლებას, კონფლიქტის შედეგად

დაზარალებული მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ახლებური მიდგომების, ხედვებისა და პრიორიტეტების საფუძველზე. აღნიშნული პროცესი ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით, კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ექსპერტების, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული - დევნილი და გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის, ასევე საერთაშორისო პარტნიორებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.

სტრატეგიული გადახედვის პირველ ეტაპზე მომზადებული შეფასების დოკუმენტის კვალდაკვალ, წინასწარ განსაზღვრული, დროში გაწერილი ორგანიზაციული გეგმის შესაბამისად, იანვარში შემუშავდა ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია, რომელსაც საფუძვლად დაედო ფართო საზოგადოებრივი ჩართულობის, კერძოდ - პარლამენტში გამართული თემატური შეხვედრების, საერთაშორისო პარტნიორებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან წარმოებული კონსულტაციების, თემატური კვლევებისა და ანგარიშების, ასევე უშუალოდ კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ინტერესებისა და საჭიროებების სიღრმისეული და ყოვლისმომცველი ანალიზი და შეფასება.

განახლებული დოკუმენტების პირველადი სამუშაო ვერსია განხილულ და შეთანხმებულ იქნა ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით შექმნილი სამთავრობო უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2022 წლის 28 იანვარს გამართულ სხდომაზე. შემდგომი ეტაპი ითვალისწინებდა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფართო საზოგადოებრივ განხილვას, რაც საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობითა და სტრატეგიულ პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციით წარიმართება.

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული გადახედვა საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით მიმდინარე, უფრო ფართო - კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესის ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, რეგიონში მკვეთრად შეცვლილი უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, აღნიშნული პროცესი არსებითად უკავშირდება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ერთიანი სამთავრობო მიდგომის ფარგლებში, თემატურად დაკავშირებული დოკუმენტების ახალ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიმდინარეობას.

ამავდროულად, ახალი სტრატეგიის დამტკიცებამდე, გრძელდება შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში მოქმედი სტატუს-ნეიტრალური მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, ასევე, არსებული შესაძლებობების ფარგლებში, მუშავდება ახალი სამშვიდობო ინიციატივები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად.

ამგვარად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ერთიანი საინფორმაციო პორტალის შესაქმნელად, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით, ერთიან სივრცეში მოაქცევს ინფორმაციას კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების თაობაზე. ოკუპირებულ რეგიონებზე შეზღუდული წვდომის პირობებში, მსგავსი პორტალის შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, ადგილზე სანდო და ობიექტური ინფორმაციის გავრცელების, ხოლო მეორე მხრივ - რუსულ პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიმართულებით.

1.6. ინკლუზიური სამშვიდობო პროცესის უზრუნველყოფა

1.6.1. თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2022 წელს გაგრძელდა და მეტად გაღრმავდა მჭიდრო თანამშრომლობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და ექპერტებთან. რეგულარულად მიმდინარეობდა კონსულტაციები როგორც აპარატთან შექმნილი „შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოს“ ფარგლებში, ისე ინდივიდუალურად, რეგიონში შექმნილი მდგომარეობის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების, გამოწვევებისა და საჭიროებების გამოვლენისა და გაანალიზების, ასევე შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის პრიორიტეტული მიმართულებების განხილვის მიზნით.

23 მარტს გაიმართა სახელმწიფო მინისტრის თეა ახვლედიანისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ლაშა დარსალიას ერთობლივი შეხვედრა კონფლიქტის თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და ექსპერტებთან, სადაც განხილულ იქნა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელების პროცესი ორივე განზომილების - საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის, ასევე შერიგებისა და ჩართულობის მიმართულებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული ვითარება და სამშვიდობო პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები.

15 ნოემბერს გაიმართა სახელმწიფო მინისტრის გაერთიანებული შეხვედრა უწყებასთან არსებული „შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა საკონსულტაციო საბჭოსა“ და ,,ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება - მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერების საკითხებზე საკონსულტაციო პლატფორმის“ წევრებთან, რომლის მიზანს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში 2022 წელს განხორციელებული საქმიანობის შეჯამება და მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგების შეფასება წარმოადგენდა.

1.6.2. ქალების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში

სახელმწიფო მინისტრის აპარატი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა როლისა და ჩართულობის გაძლიერებას სამშვიდობო პროცესში და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, განაგრძობს ძალისხმევას, ერთი მხრივ, სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში და ნდობის აღდგენის პროექტებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის, ხოლო მეორე მხრივ - კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების გამოვლენისა და მათზე რეაგირების უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, 2022 წელს აპარატი აგრძელებდა რეგულარულ დიალოგს ქალთა და ქალების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის უწყებასთან არსებული ქალთა

საკონსულტაციო პლატფორმის წევრებთან, ასევე კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მიმდებარე სოფლებში ქალთა საჭიროებებისა და გამოწვევების, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის, მიმდინარე პროგრამებისა და პროექტების, აგრეთვე სამომავლოდ დაგეგმილი ნაბიჯების შესახებ.

წლის განმავლობაში, რეგულარულად ხორციელდებოდა სახელმწიფო მინისტრის ვიზიტები საოკუპაციო ხაზების მიმდებარე სოფლებში და იმართებოდა შეხვედრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან, მათ შორის ქალებთან. გასვლითი შეხვედრები გაიმართა გამყოფი ხაზის შემდეგი სოფლების წარმომადგენლებთან: რუხი და ტყაია (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის); ნიქოზი (გორის მუნიციპალიტეტი); ზარდიაანთკარი (გორის მუნიციპალიტეტი); ჩორჩანა (ხაშურის მუნიციპალიტეტი); ავლევი, კნოლევი, ცერონისი (ქარელის მუნიციპალიტეტი).

19 მაისს, საქართველოში გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის (UN-WOMEN) ხელმძღვანელთან ერთად, სახელმწიფო მინისტრი შეხვდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს, რაც შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის მიმდინარე პროცესის გაცნობასა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ინიციატივებისა და მოსაზრებების გაზიარებას ემსახურებოდა.

14 სექტემბერს, ქ. გორში, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ერთი მხრივ, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) მონაწილეებსა და მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ქალთა უფლებების დამცველებსა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებს შორის. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა დამსწრე საზოგადოებისთვის IPRM-ის ფარგლებში განხილული საკითხებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე ინფორმაციის გაზიარება და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიღება.

ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 16 დეკემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებითა და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარებულ შეხვედრაში - „ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“, რომლებიც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების მონაწილეებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველების, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ჩართულობით გაიმართა.

კონფლიქტით დაზარალებული ქალების მიმართ ძალადობის აღკვეთისა და ამ კუთხით არსებული დაცვის მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯარიაშენში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩორჩანაში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. შამგონაში და სოფ. ტყაიაში, გაიმართა 5 საინფორმაციო შეხვედრა გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრებ ქალებთან; შეხვედრებს ჯამში კონფლიქტით დაზარალებული 101 ქალი და 17 კაცი დაესწრო.

გამყოფ ხაზთან მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით, დისტანციურ რეჟიმში გაიმართა ორი სასწავლო კურსი „როგორ დავიწყოთ ბიზნესი“, რომელშიც ჯამში 22-მა ქალმა მიიღო მონაწილეობა. სასწავლო კურსის მიზანი იყო მეწარმეობის შესახებ ქალების თეორიული ცოდნის ამაღლება და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერება.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აგრძელებდა რეგულარულ კონსულტაციებს საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორ-ორგანიზაციებთან სახალხო დიპლომატიის ინიციატივებსა და ნდობის აღდგენის პროექტებში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით. ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ ნდობის აღდგენის პროექტებზე გაცემული 58 თანხმობიდან 9 პროექტი (16%) მოიცავდა ქალთა საკითხებს ან წარდგენილი იყო ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" შესაბამისად მოქმედი „მშვიდობის ფონდის“ მიერ გამოცხადებული, რიგით მესამე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა 42%-ს ქალი წარმოადგენს.

1.6.3. ახალგაზრდების ჩართულობა სამშვიდობო პროცესში

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩებოდა სამშვიდობო პროცესში ახალგაზრდების როლისა და არსებითი ჩართულობის წახალისება. სწორედ ამ მიზნით 2022 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და ახალი ინიციატივები დაინერგა.

აღნიშნულ კონტექსტში, განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდებისთვის ყოველწლიური ჯილდოს - „სახელმწიფო მინისტრის აპარატის მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ - ამოქმედება და პირველი კონკურსის ჩატარება. 21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მაღალი დონის ღონისძიებაზე - „ახალგაზრდები მშვიდობის მშენებლობაში“ სახელმწიფო მინისტრმა გამოავლინა ჯილდოს პირველი გამარჯვებული, რომელსაც გადაეცა ფულადი პრიზი 3,000 ლარის ოდენობით. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი დონის სტუმრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, რომლებმაც ისაუბრეს მშვიდობის საერთაშორისო დღისა და მშვიდობის დამყარების მნიშვნელობაზე და ამ პროცესში ახაგაზრდების გაძლიერების საჭიროებაზე; დამსწრე საზოგადოებას დისტანციურად მიმართა გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ პოლიტიკურ და მშვიდობის მშენებლობის საკითხებში როზმარი დიკარლომ. მშვიდობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა და ახალგაზრდებმა.

2022 წლის განმავლობაში გრძელდებოდა რეგულარული შეხვედრები შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკით დაინტერესებულ, მათ შორის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ახალგაზრდებთან. 20 მაისს,

სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრა გამართა საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ სტუდენტებთან, რომელიც მიზნად ისახავდა მათთვის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების გაცნობას, ასევე ახალგაზრდების ინიციატივებისა და მოსაზრებების გაზიარებას. ამასთან, 30 სექტემბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში შედგა შეხვედრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან.

აღსანიშნავია ასევე, რომ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაცემული თანხმობის შესაბამისად განხორციელებულ სამშვიდობო პროექტებსა და ინიციატივებს შორის დაახლოებით 13% მოიცავდა ახალგაზრდების საკითხებს ან წარდგენილი იყო ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

1.7. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეგირების მექანიზმები

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ხელმძღვანელობს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მეორე ჰუმანიტარულ სამუშაო ჯგუფს, რომლის ფარგლებშიც განიხილება ოკუპირებულ ტერიტორიებსა და გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული და უფლებრივი მდგომარეობა. დღის წესრიგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება წარმოადგენს, რომლის არსებით განხილვას, სამწუხაროდ, მიზანმიმართულად ეშლება ხელი სხვა მონაწილეების მხრიდან.

2022 წლის 5 ოქტომბერს გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 56-ე რაუნდი, რომლის დროსაც ქართულმა მხარემ დასვა ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის, განსაკუთრებით გალისა და ახალგორის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციასა და მათი ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევასთან დაკავშირებული მწვავე საკითხები, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის პროცესის, ოკუპირებული ტერიტორიების შემდგომი ხელოვნური იზოლაციისკენ გადადგმული

ნაბიჯების, თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების, საკუთრებაზე და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე წვდომის კუთხით შექმნილი დაბრკოლებების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვის, საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებების ფაქტების ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგორის მიმართულებით ე.წ. „გადასასვლელი პუნქტის" ჩაკეტვის შედეგად ცხინვალის რეგიონში შექმნილ ჰუმანიტარულ კრიზისს, რომელსაც რიგითი მოქალაქეების ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეეწირა. ამასთან, საქართველოს დელეგაცია მთელი სიმწვავით დააყენა უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლების საჭიროებას, ისევე როგორც საქართველოს ოთხი მოქალაქის - დ. ბაშარულის, გ. ოთხოზორიას, ა. ტატუნაშვილისა და ი. კვარაცხელიას მკვლელობაზე პასუხისმგებელი პირების დასჯის აუცილებლობა.

მეორე სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგის შესაბამისად, საქართველოს დელეგაცია ასევე განიხილავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხი. სამწუხაროდ, რუსეთის დელეგაციისა და დე-ფაქტო რეჟიმების წარმომადგენლები განხილვებში მონაწილეობის მიღებაზე ტრადიციულად უარს აცხადებდნენ და ტოვებდნენ მოლაპარაკებათა დარბაზს.

წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრს ჰქონდა რეგულარული დისტანციური კომუნიკაცია და პირისპირ შეხვედრები ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების სამივე თანათავმჯდომარესთან - ტოივო კლაართან (ევროკავშირი), ჯიჰან სულთანოღლუსთან (გაერო) და ვიორელ მოშანო (ეუთო), რომლის დროსაც განიხილებოდა მეორე სამუშაო ჯგუფის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასევე მონაწილეობდა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში. 2022 წელს გაიმართა IPRM-ის ექვსი შეხვედრა ერგნეთში, სადაც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები მწვავედ აყენებდნენ საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოებასთან, ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის ითხოვდნენ უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უპირობო და

დაუყოვნებელ გათავისუფლებას, ასევე ახალგორის მიმართულებით თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნას.

ამასთან, გრძელდებოდა აქტიური მუშაობა საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან, ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით IPRM-ის შეხვედრების აღსადგენად, რომელიც საოკუპაციო ძალების მიზანმიმართული, პროვოკაციული ქმედებების გამო 2018 წლის 27 ივნისის შემდეგ შეწყვეტილი რჩება. აღნიშნული განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ადგილზე არსებული მძიმე მდგომარეობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხების სასწრაფო გადაჭრის საჭიროების გათვალისწინებით.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე ჰუმანიტარული საკითხების აპოლიტიკურ ჭრილში განხილვა უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებლებელია კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებისა და მათი ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

2022 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ამ მხრივ, ვითარება კვლავ განსაკუთრებით მძიმეა გალის და ახალგორის რაიონებში, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას. ამასთან, ადგილზე არსებული არასათანადო სამედიცინო მომსახურებისა და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ხარისხიან ჯანდაცვაზე შეზღუდული წვდომის პირობებში, კიდევ უფრო დაამძიმა ოკუპირებული რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა.

ოკუპირებულ რეგიონებში გრძელდებოდა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილება და საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე წვდომა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ახალგორის რაიონში შექმნილი მდგომარეობა, სადაც ერთადერთი ე.წ. „გადასასვლელი პუნქტი“ 2019 წლის

4 სექტემბერიდან დაკეტილი იყო, თუმცა, 2022 წლის აგვისტოდან ახალგორისა და ჯავის მოსახლეობას ყოველი თვის 20 რიცხვიდან თვის ბოლომდე შეუძლიათ გადაადგილება. აღნიშნულმა უკანონო ქმედებამ მთელი რეგიონი ჰუმანიტარულ კრიზისამდე მიიყვანა, რაც სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების, საკვებისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების უკმარისობაში გამოიხატება. ხშირ შემთხვევებში, საოკუპაციო რეჟიმი აყოვნებს გადაუდებელი მკურნალობის საჭიროების მქონე პაციენტების საოკუპაციო ხაზზე გამოშვებას, რაც მინიმუმამდე ამცირებს მათი გამოჯანმრთელების შესაძლებლობებს და მეტიც, რიგ შემთხვევებში ლეტალურ შედეგს იწვევს. მსგავს უკანონო ქმედებებს არაერთი ადამიანის ჯანმრთელობა შეეწირა, რაც ნათლად ადასტურებს, რომ საოკუპაციო ძალა მუდმივად ახდენს ჰუმანიტარული საკითხების პოლიტიზირებას და მშვიდობიან მოსახლეობას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს.

გრძელდებოდა საქართველოს მოქალაქეთა უკანონო დაკავების ფაქტები ე.წ. „საზღვრის“ უკანონო გადაკვეთის გამო. 2022 წელს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ იქნა დაკავებული 57 პირი, მათგან ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 13, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 44 პირი.

საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებები არის ერთ-ერთი უმწვავესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი განიხილავს საერთაშორისო პარტნიორებთან ყველა ორმხრივი თუ მრავალმხრივი მექანიზმის ფარგლებში და ამავდროულად, იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმსა და ბერკეტს უკანონოდ დაკავებული თითოეული მოქალაქის უპირობო და დაუყოვნებელი გათავისუფლების უზრუნველსაყოფად.

შემაშფოთებელია, რომ აფხაზეთის რეგიონში კვლავ უკანონო პატიმრობაში რჩება გალის რაიონის მაცხოვრებელი ირაკლი ბებუა, რომელიც საოკუპაციო რეჟიმმა ე.წ. „აფხაზური დროშის“ დაწვის საბაბით 2020 წლის 30 სექტემბერს დააკავა და 9 წლით ვადით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა. ცხინვალის რეგიონში უკანონო პატიმრობაში რჩება საქართველოს ექვსი მოქალაქე, მათ შორის 2021 წლის 12 დეკემბერს უკანონოდ გატაცებული მამუკა ჩხიკვაძე. ამჟამად ოკუპირებულ რეგიონებში უკანონო პატიმრობაში იმყოფება 10 პირი (ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში - 4, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში - 6).

უკანონო დაკავებები არა მხოლოდ ზღუდავს ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებას და მნიშვნელოვნად აკნინებს ადგილზე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, არამედ მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის რიგითი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, რაც კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა გენადი ბესტაევის შემთხვევაში, რომელიც საოკუპაციო რეჟიმმა 2019 წლის 21 ნოემბერს უკანონოდ დააკავა და 3 წლით პატიმრობა „მიუსაჯა". საქართველოს მთავრობის ხელთ არსებული ბერკეტების ამოქმედებისა და საერთაშორისო პარტნიორების მოწოდებების მიუხედავად, საოკუპაციო რეჟიმმა გენადი ბესტაევი ცენტრალურ ხელისუფლებას მხოლოდ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების შედმეგ, 2021 წლის 16 ნოემბერს გადმოსცა, რის გამოც ექიმებმა მისი სიცოცხლის გადარჩენა ვერ შეძლეს; გენადი ბესტაევი 2022 წლის 16 თებერვალს გარდაიცვალა.

2022 წლის განმავლობაში კვლავ მძიმე იყო მდგომარეობა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების კუთხით. აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმის გადაწყვეტილებით, გალის რაიონის სკოლებში, ქართულ ენაზე სწავლება მე-11 კლასის ჩათვლით აიკრძალა, რაც მრავალი წლის მანძილზე წარმოებული ეთნიკური დისკრიმინაციისა და რუსიფიკაციის პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს და მიზნად ისახავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კვალის განადგურებას და მოსახლეობის სრულ ასიმილაციას.

ხაზგასმით უნდ აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება ძალღონეს არ იშურებს და იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების და სხვა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად.

ამ კუთხით, ძალზე მნიშვნელოვანია 2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ" მიღებული უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა, რომ რუსეთი, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების უხეში დარღვევით, ახორციელებს ეფექტურ კონტროლს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებზე და მას, როგორც საოკუპაციო ძალას, ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მიმდინარე ოკუპაციის შედეგად ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებზე, როგორიც არის სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, თავისუფლებისა

და უსაფრთხოების უფლება, ოჯახური ცხოვრების უფლება, მიმოსვლისა და საკუთრების უფლება. ამასთან, გადაწყვეტილების თანახმად, რუსეთი პასუხისმგებელია იმაზე, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან ასი ათასობით იძულებით გადაადგილებულ პირს არ ეძლევათ საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლება.

1.8. თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან

საქართველოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, მათ შორის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორების როლი, განსაკუთრებით ოკუპირებული რეგიონების შემდგომი ხელოვნური იზოლაციისკენ მიმართული უკანონო ქმედებების, ადგილობრივი მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების უხეში დარღვევისა და ადგილზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების არარსებობის გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდნარე, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის მიზნების რეალიზებისა და ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი მძიმე უფლებრივი და ჰუმანიტარული მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, 2022 წელს გრძელდებოდა თანამშრომლობა, რეგულარული შეხვედრები და მჭიდრო კოორდინაცია საერთაშორისო თანამეგობრობასთან, მათ შორის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ევროკავშირის სტრუქტურების წარმომადგენლებთან, პარტნიორ-სახელმწიფოებთან, ასევე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან. სახელმწიფო მინისტრის აპარატი, კომპეტენციის ფარგლებში, ინტენსიურად იყენებდა ყველა არსებულ ბერკეტს, საერთაშორისო მექანიზმების ჩათვლით, საოკუპაციო რეჟიმის უკანონო ქმედებების აღკვეთის, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის აღდგენის, უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების გათავისუფლების, საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, სამედიცინო დახმარებისა და საარსებო წყაროებზე წვდომის უზრუნველყოფის, ასევე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

რეგულარული კონსულტაციების დროს ასევე აქტიურად განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ჩართულობის

შემდგომი გაძლიერების გზები, ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენის გაღრმავების შესაძლებლობები, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები და შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები.

წლის განმავლობაში, სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაიმართა ერთობლივი შეხვედრები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც განხილულ იქნა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებული მდგომარეობა, ასევე, საერთაშორისო პარტნიორების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები.

10 თებერვალს სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი სიტყვით გამოვიდა ქ. ბრიუსელში გამართულ საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის რიგით მე-10 სხდომაზე, სადაც მან დეტალურად მიმოიხილა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული გამოწვევები და ვრცლად ისაუბრა საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების პროცესზე. ბელგიის სამეფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ასევე გაიმართა სახელმწიფო მინისტრის ოფიციალური შეხვედრები საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურისა და ევროკომისიის სამეზობლოსა და გაფართოების მოლაპარაკებათა გენერალური დირექტორატის წარმომადგენლებთან.

28-30 მარტს სახელმწიფო მინისტრი სამუშაო ვიზიტით ქ. ვაშინგტონს ეწვია, სადაც გამართა ოფიციალური შეხვედრები აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან კონფლიქტისა და სტაბილიზაციის ოპერაციების საკითხებში ანნე ვიტკოვსკისთან და მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილესთან ლესლი ზიმანთან. ამასთან, გაიმართა სახელმწიფო მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის სამმხრივი დიალოგის შეხვედრა აშშ-ისა და ევროკავშირის წარმომადგენლებთან, სადაც დეტალურად იქნა განხილული შემდგომი თანამშრომლობა და ნაბიჯები კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრა გამართა სამოქალაქო საზოგადოების, კვლევითი ინსტიტუტებისა და ექსპერტული წრეების წარმომადგენლებთან,

ასევე მონაწილეობა მიიღო და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოსა და აშშ-ის შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

21 სექტემბერს, სახელმწიფო მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში გამართულ საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების რიგით მე-11 სხდომაში; გამოსვლის დროს მან ვრცლად მიმოიხილა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის პრიორიტეტები, მიღწეული შედეგები და სამომავლო ხედვები.

25 ნოემბერს, სახელმწიფო მინისტრმა გამართა შეხვედრა საქართველოში აკრედიტებულ ელჩებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლის მიზანს უწყების კომპეტენციაში შემავალი ორივე - როგორც შერიგებისა და ჩართულობის, ისე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელების, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო ხედვების, ასევე შემდგომი თანამშრომლობის კონკრეტული გზების განხილვა წარმოადგენდა.

ზემოხსენებულ აქტივობებთან ერთად, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ჩართული იყო და რეგულარულად მონაწილეობდა და საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის რიგ ფორმატებში, სადაც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, მათ შორის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მიმართ:

- 24-25 მარტს, ქ. თბილისში, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის რიგით მე-7 სხდომა, რომლის დროსაც განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობა და ევროკავშირის შემდგომი ჩართულობის გზები;
- 22 ივნისს, ქ. ბრიუსელში, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგის რიგით მე-15 შეხვედრა, რომლის დღის წესრიგის ერთ-ერთი პუნქტი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მდგომარეობის, ასევე შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების განხილვას დაეთმო;
- 6 სექტემბერს, ქ. ბრიუსელში, გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მე-7 სხდომა, სადაც განხილულ იქნა

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობა და სამომავლო გეგმები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი უაღრესად აფასებს საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერას უწყების კომპეტენციაში შემავალი ორივე - შერიგებისა და ჩართულობის, ისევე როგორც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

2. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკა

კულტურით, ტრადიციებით, თუ მრწამსით განსხვავებული ადამიანების ღირსეულად თანაცხოვრების უნიკალური გამოცდილება სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებშია განმტკიცებული და მიზნად ისახავს თანაბარუფლებიანი და დემოკრატიული საზოგადოების განმტკიცებას, სადაც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად მისი ეთნიკური თუ კულტურული კუთვნილებისა, სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობის, პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობები.

სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მექანიზმია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ხელისუფლების მკაფიო განაცხადს კულტურულად მრავალფეროვანი და დემოკრატიული საზოგადოების შემდგომი განმტკიცებისთვის.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობითა და კონსოლიდირებული ძალისხმევით ინტენსიურად განარგძო სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პირველი, ორწლიანი ციკლის განხორციელების პროცესი ხუთი სტრატეგიული პრიორიტეტული მიმართულებით. კერძოდ: სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა; თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა; სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია; კულტურათაშორისი დიალოგი.

თითოეული მიმართულებით დასახული კონკრეტული ამოცანის განხორციელება და შესაბამისი ქმედითი მექანიზმების ფორმირებაზე მუშაობა, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკის განხორციელების შეუქცევად პოზიტიურ დინამიკას და მდგრად ხელშესახებ შედეგებს, წარიმართა შესაბამისი, პასუხისმგებელი დარგობრივი უწყებების ჩართულობითა და რიგი უნიკალური ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა: სკოლამდელი და ზოგადი განათლება მშობლიურ ენაზე, სახელმწიფო ენის სწავლების უფასო კურსები და პროგრამები ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების მშობლიური ენების სკოლებში სწავლება, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა გამარტივებული წესით, საჯარო სამსახურში სპეციალური სტაჟირების პროგრამა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე ჩართულობის ხელშეწყობა საკონსულტაციო საბჭოების საშუალებით, პროფესიული განათლების პროგრამები, მშობლიურ ენაზე მედია, კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერა და სხვა.

2.1. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად

სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად - პოლიტიკის პირველი რიგის და ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომლის ფარგლებში ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება განიხილება, როგორც პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის, სრულფასოვანი სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის, სხვადასხვა ეთნოსებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფის და კულტურის გაზიარების წინაპირობა.

აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრული თითოეული მიზანი და ამოცანა ემსახურება, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევას.

მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული შედეგებისა, სახელმწიფო ენის ცოდნა კვლავ გამოწვევად რჩება არაქართულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის, რომლის დასაძლევად, სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, დაწყებულია კომპლექსური ღონისძიებების გატარება ქართული ენის პოპულარიზაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლების კუთხით.

2022 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება და კომპლექსური ღონისძიებების გატარება, როგორც სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის, ასევე ქართული ენის სწავლების ხარისხის და მეთოდოლოგიის გაუმჯობესების, ენის შესწავლის მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზების და პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განათლების ყველა დონეზე - სკოლამდელი განათლებიდან, ზრდასრულთა განათლების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ენის სწავლება დაიწყო სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ამავდროულად, ორენოვანი/ბილინგვური განათლება საპილოტე რეჟიმში დაინერგა 15 საბავშვო ბაღსა და 41 საჯარო სკოლაში, რომლის შედეგების შეფასების საფუძველზე დაგეგმილია პროგრამის შესაძლებლობების განვითარება და განხორციელების არეალის შემდგომი გაფართოვება.

ადგილობრივი და ორენოვანი დამხმარე მასწავლებლების პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა გადამზადების/კვალიფიკაციის ამაღლების პროცესი; ადგილზე მაღალკვალიფიციური კადრების არსებული დეფიციტის დასაძლევად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში მივლინებულ იქნა 207 გადამზადებული ქართულენოვანი მასწავლებელი. დამატებით, მასწავლებელთა ენის კომპეტენციისა და პროფესიული განვითარების მიზნით, ქართულ ენასა და სწავლების მეთოდებში გადამზადდა ქართულის, როგორც მეორე ენის 518 მასწავლებელი, ასევე არაქართულენოვანი სკოლების სხვადასხვა საგნის მასწავლებლები.

ზრდასრული მოქალაქეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნიდა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, რომელიც ნებისმიერ მსურველს სახელმწიფო დაფინანსებით სთავაზობს შესაბამის პროგრამებს როგორც მის 12 რეგიონულ ცენტრში, ასევე საჯარო ორგანიზაციებში, სამხედრო სამსახურსა და რელიგიურ დაწესებულებებში, მობილური ჯგუფების, დისტანციური თუ ჰიბრიდული სწავლების ფორმებით. 2022 წელს 5000-მდე პირმა გაიუმჯობესა ქართული ენის ცოდნის დონე. ამასთან, „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში 200-მდე საჯარო მოხელე გადამზადდა, რომლებმაც სახელმწიფო ენის კომპეტენციასთან ერთად, განავითარეს თავიანთი პროფესიული უნარებიც.

სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის ამაღლებასა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიმართული ძალისხმევის პარალელურად, სრულად რეალიზებული და დაცულია ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე

განათლების უფლება, როგორც მოქმედ სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე არაქართულენოვან სკოლებსა/სექტორებზე (296 სკოლა/სექტორი); ამავდროულად, უზრუნველყოფილია მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების - ოსური, ასურული, ჩეჩნური, უდიური, ხუნძური - სწავლება.

ქართული ენის პოპულარიზაციას და არაქართულენოვან მოსახლეობაში ენის შესწავლის მოტივაციის გაზრდას ემსახურებოდა რეგიონებში განხორციელებული ღონისძიებები, მათ შორის, სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიები და ენის შესწავლის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

2.2. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა

განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის განგრძობადი ამაღლება კვლავ რჩება უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პრიორიტეტად. წლის განმავლობაში ძალისხმევა მიმართული იყო განათლების თითოეულ საფეხურზე სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

სკოლამდელი და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) 2021-2022 წლებში დასრულებული და მიმდინარე პროექტების ფარგლებში, განხორციელდა 40-ზე მეტი სკოლის და 20-ზე მეტი საბავშვო ბაღის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

არაქართულენოვანი ახალგაზრდებისთვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქართულ ენაში მომზადების კურსის დანერგვის შედეგად, რომლის ფარგლებშიც პროფესიის შეძენის ინტერესი 1000-ზე მეტმა ახალგაზრდამ გამოხატა; 2022 წელს კი, პროფესიულ სასწავლებლებში ჩაირიცხა 292 აბიტურიენტი. ამასთან, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის რეგიონების შერჩეული საჯარო სკოლების ბაზაზე „პროფესიული უნარების განვითარების პროგრამების“ ამოქმედებამ შექმნა საცხოვრებელ ადგილზე პროფესიული განათლების მიღება/გადამზადების დამატებითი, უნიკალური შესაძლებლობა ახალგაზრდებისთვის.

უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქმედ ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამაში“, 2022 წელს 1386 სტუდენტი ჩაერთო. მიმდინარე

საჭიროებებთან შესაბამისობაში უკეთ მოყვანის მიზნით მიმდინარეობს პროგრამის განვითარებაზე მუშაობა.

2.3. თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულების - „თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა“ ფარგლებში დასახული ამოცანების რეალიზების მიზნით, პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, განხორციელდა ღონისძიებები პოლიტიკის არსებული ინსტრუმენტების და საკონსულტაციო მექანიზმების ეფექტიანობის განვითარება/გაძლიერების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. ძალისხმევა, ასევე, მიმართული იყო მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლებაზე. ამ მიზნით ჩატარდა ათეულობით საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი ადამიანის უფლებების და სამართლებრივ საკითხებზე, ქალთა გაძლიერების, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის, მედია წიგნიერების, ევროპული და ევროატლანტიკური პროცესებსა და სხვა აქტუალურ თემატიკაზე, მათ შორის, ქალების, ახალგაზრდებისა და რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის.
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საარჩევნო პროცესში თანასწორი და თანაბარი მონაწილეობის შემდგომი მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით 2022 წელს განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები. კერძოდ:

- კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობას, მათ შორის მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია არჩევნებისა და საარჩევნო უფლების, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და საარჩევნო/საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ (ჩატარდა 12 შეხვედრა);
- შვიდ უნივერსიტეტში საარჩევნო რეფორმის სიახლეებსა და საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებზე ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები;
- განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამა „საარჩევნო განვითარების სკოლა“, ასევე საარჩევნო სამართლის საავტორო პროგრამა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში;
- საარჩევნო ცნობიერების ამაღლების მიზნით რვა მუნიციპალიტეტის *(ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი,*

მარნეული და წალკა) 22 საჯარო სკოლაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები VII-XII კლასის მოსწავლეებთან;

- განახორციელდა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა – „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი" ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტში (ბოლნისი, დმანისი, წალკა, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახმეტა, საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე). სასწავლო კურსი გაიარა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების 48 საჯარო სკოლის 853-მა მოსწავლემ.

კანონმდებლობაზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, აღსანიშნავია, რომ 2020-2022 წლებში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ვებ-გვერდზე განთავსდა 16 საკანონმდებლო აქტი, მათ შორის: საქართველოს კონსტიტუცია; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; კანონები სახელმწიფო ენის; დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის; ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების; ზოგადი განათლების; საქართველოს მოქალაქეობის შესახებ და სხვა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით 2016-2017 წლიდან ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებთან ფუნქციონირებს საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი თვითმმართველობების, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები; 2022 წლის 20 ოქტომბერს და 15 ნოემბერს ჩატარდა საბჭოების შეხვედრები ქვემო ქართლსა და კახეთში, სადაც განხილული იყო სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების დინამიკა, მიღწევები და ჯერ კიდევ არსებული გამოწვევები, შეჯერდა პოზიციები და დაისახა კონკრეტული გეგმები მათ გადასაჭრელად.

გაგრძელდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის საჯარო სექტორში სტაჟირების სპეციალური პროგრამა, ახალგაზრდების პროფესიული უნარების განვითარების, საჯარო სფეროში მუშაობის გამოცდილების, საქმიანი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში შეძენის და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით. 2021-2022 წლებში პროგრამაში ჩართული იყო 85 ბენეფიციარი;

მედიასა და ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდა საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ტრანსილირება სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე, ფუნქციონირება განაგრძო შვიდენოვანმა ვებ-პორტალმა - www.1tv.ge. ხელი შეეწყო არაქართულენოვან ბეჭდვით მედიას - სახელმწიფოს დაფინანსებით, წლის განმავლობაში რეგულარულად გამოიცემოდა სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ (104 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“ (50 ნომერი; ტირაჟი 3000). გაზეთები გავრცელდა, როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, პენიტენციურ დაწესებულებებში.

თანასწორობის, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის სტრატეგიული პრიორიტეტის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჩართულობის გასაძლიერებლად დასახულია ნაბიჯები, რომელიც უფრო მაღალ სტანდარტებზე იქნება ორიენტირებული. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ინფორმაციასა და მედიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რითაც დავუპირისპირდებით ეთნიკურ უმცირესობებზე გამიზნულ დეზინფორმაციას და ხელს შევუწყობთ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ჩვენი თანამოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობას და ერთმანეთთან კომუნიკაციას.

2.4. სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია

სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის პრიორიტეტის რეალიზების მიმართულებით სტრატეგია მიზნად ისახავს ეთნიკურად მრავალფეროვანი საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას და სოციალურ თანასწორობას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ეკონომიკურ პროცესებში ჩართულობისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე წვდომის ამაღლებას, პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებას, საკომუნიკაციო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ჩათვლით.

სახელმწიფო პროგრამებზე, მომსახურებებსა და უფასო იურიდიულ დახმარებაზე წვდომის ხელშესაწყობად, განხორციელდა საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კარდაკარ კამპანიები, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა სოციალური, ეკონომიკური, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო, სოფლის მეურნეობის და სხვა სახელმწიფო პროგრამების

შესახებ. ჩატარებულ 60-ზე მეტ შეხვედრაში 3000-ზე მეტი მოქალაქე მონაწილეობდა.

სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის პრიორიტეტის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე პოზიტიურად აისახება განხორციელებული მრავლობითი ინფრასტრუქტურული პროექტები შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაციის, სკვერებისა და გასართობი სივრცეების მოწყობის და სხვა მიმართულებებით, რაც მომავალშიც გაგრძელდება. ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში 170-ზე მეტი პროექტი განხორციელდა, ჯამური ღირებულებით - 130 მლნ. ლარი.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინფორმირებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან მიმართებაში. კერძოდ, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და კოორდინაციით ქვემო ქართლის რეგიონში გაიმართა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ საინფორმაციო კამპანია. კამპანიის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, იუსტიციის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განათლებისა და მეცნიერების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა და სხვ. სამინისტროებისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია უწყებების კომპეტენციებში არსებული სიახლეების, სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ. სულ ჩატარდა 40 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1500-მდე ბენეფიციარმა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით რეგიონებში მომუშავე ადგილობრივი მედიასაშუალებების წარმომადგენლების მონაწილეობით (30 ბენეფიციარი) გაიმართა ტრენინგ-სემინარი თემაზე: „დეზინფორმაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესების მხარდასაჭერად“.

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ობიექტურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა კულტურულ-საგანმანათლებლო სემინარების ციკლი (4

სემინარი, 130 ბენეფიციარი) საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე.

მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლებასა და ბიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერებას მიზნით ჩატარდა ტრენინგი სახელწოდებით „მეწარმეობის პრაქტიკული კურსი - როგორ დავიწყოთ ბიზნესი" ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის (22 ბენეფიციარი).

2.5. კულტურათაშორისი დიალოგი

კულტურათაშორისი დიალოგის პრიორიტეტის ფარგლებში სტრატეგიის ამოცანები მიმართულია კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენის, გაზიარებისა და განვითარებისკენ, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეთნოსის თეატრების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების საქმიანობის, კულტურულ-საგანმანათლებლო-სპორტული ღონისძიების მხარდაჭერის გზით. სახელმწიფო დაფინანსებით ხელშეწყობილია მუზეუმების (816000 ლარი) და თეატრების (1635000 ლარი) საქმიანობა და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, მათ შორის მუნიციპალურ დონეზე.

2.6. თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო აქტორებთან

წლის განმავლობაში წარიმართა კონსტრუქციული და ნაყოფიერი თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო პარტნიორებთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგნელებთან.

რეგულარულ რეჟიმში იმართებოდა შეხვედრები, დისკუსიები, კონსულტაციები. სახელმწიფო მინისტრმა არსებული საჭიროებების, გამოწვევების გაცნობისა და მათი მოგვარების მიზნით არაერთი შეხვედრა გამართა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ მოსახლეობასთან და სამუშაო რეჟიმში განიხილა არსებული ვითარება.

პოლიტიკის განხორციელების ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წელს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) მე-4 ციკლის ფარგლებში მომზადდა და ევროპის საბჭოს წარედგინა სახელმწიფო ანგარიში, რომელშიც კომპლექსურად აისახა ბოლო 5

წლის განმავლობაში ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით არსებული ვითარება და შექმნილი შესაძლებლობები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მუშაობა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაზე.